

ევროკავშირის პოლიტიკა საქართველოსა და უკრაინის
კონფლიქტური რეგიონების მიმართ

მარიამ გუგულაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საერთაშორისო ურთიერთობების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

პოლიტიკის მეცნიერების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტარიელ სიხარულიძე, ასოცირებული პროფესორი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2020

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მარიამ გუგულაშვილი

24.04.2020

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი საერთაშორისო ურთიერთობების სამეცნიერო დისციპლინაში ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის ანალიზისა და შესწავლის საფუძველზე იკვლევს ევროკავშირის პოლიტიკას და მის გავლენას საქართველოსა და უკრაინის კონფლიქტური რეგიონების მიმართ. კვლევის მიზანია, ორი შემთხვევის შედარების (საქართველო, უკრაინა) საფუძველზე შეაფასოს და გაანალიზოს ევროკავშირის შესაძლებლობები და ნაკლოვანებები კონფლიქტების გადაწყვეტის, პრევენციის, მშვიდობის მშენებლობისა და კრიზისების მართვის სფეროში.

ნაშრომი დამყარებულია თვისებრივი კვლევის მეთოდოლოგიაზე, რომლის საბაზისო მეთოდოლოგიურ მიდგომებსაც წარმოადგენს შემთხვევის შესწავლა და შედარებითი ანალიზი, კონტენტისა და დისკურსის ანალიზი; ამას გარდა, ნაშრომში გამოყენებულია სამაგიდო კვლევის მეთოდიც. კვლევითი პროექტის სანდოობის გაზრდის მიზნით, მოხდა ნახევრად-სტრუქტურირებული და სტრუქტურირებული ინტერვიუების აღება ადგილობრივი და საერთაშორისო აკადემიური/საექსპერტო სფეროს წარმომადგენლებთან და ოფიციალურ პირებთან.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკას მის აღმოსავლეთ სამეზობლოში კონფლიქტების, მშვიდობის მშენებლობისა და ტრანსფორმაციის მხრივ, რიგ პოზიტიურ შედეგებთან ერთად მრავალმხრივი ნაკლოვანებები და შეზღუდვები გააჩნია. საქართველოში და უკრაინაში არსებულ კონფლიქტურ ტერიტორიებთან მიმართებაში ევროკავშირის ქმედებებს, ჩართულობის მექანიზმებს, ქმედებათა დინამიკასა და ნაბიჯებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მის აღმოსავლეთ სამეზობლოში არსებული ალტერნატიული ძალის - რუსეთის ფედერაციის ფაქტორი; ამას გარდა, ევროკავშირის ინსტიტუციონალური მოწყობა, პოლიტიკური ნების დეფიციტი, წევრი სახელმწიფოების ინდივიდუალური ინტერესები, [გაერთიანების] ცალკეულ ქვეყნებსა და რუსეთს შორის არსებული ინტერაქცია და ერთობლივი და თანმიმდევრული სტრატეგიის არარსებობა კითხვის

ნიშნის ქვეშ აყენებს ევროკავშირის საგარეო პოლიტიკის შესაძლებლობების სისტემურ ქმედითუნარიანობას და ეფექტიანობას.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ არსებული რიტორიკისგან განსხვავებით, პრაქტიკული თვალსაზრისით, ევროკავშირი პოსტ-კონფლიქტური რეალობის სტაბილიზაციას, მის შენარჩუნებას, დეესკალაციას და კონფლიქტში ჩართულ მხარეებს შორის საკომუნიკაციო არხების ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად. ამრიგად, მის დღის წესრიგშია მოლაპარაკებათა პლატფორმების შექმნა, მედიაცია და პოსტ-კონფლიქტურ რეალობაში რეაბილიტაციის მიზნით ტექნიკური, ფინანსური და ჰუმანიტარული სახის დახმარების გაწევა და არა მის მიერ კონფლიქტის გადაჭრა. ამას გარდა, ნაშრომში ცხადად გამოჩნდა, რომ ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა საკვლევ საკითხთან მიმართებაში კვლავ ფორმირების პროცესშია.

წინამდებარე კვლევაში დაშვებულია ლეგიტიმური მსჯელობა, რომლის მიხედვითაც პოზიტიური ცვლილებების მისაღწევად ევროკავშირის კონფლიქტების პრევენციისა და ტრანსფორმაციის შესაძლებლობები გრძელვადიან პერსპექტივაში ირიბი პოლიტიკით - ქვეყნების მოდერნიზაციით, დემოკრატიული პროცესების ხელშეწყობით, ევროპეიზაციით, რეფორმების განხორციელების ხელშეწყობით, სახელმწიფო ინსტიტუტების აღმშენებლობით, კონკურენტუნარიანი ეკონომიკის შექმნითა და კანონის უზენაესობის დამყარებით გამოიხატება.

სამაგისტრო პროექტში წარმოდგენილი მიმოხილვის, მსჯელობის, შედეგებისა და რეკომენდაციების გამოყენება მიზანშეწონილია საკითხით დაინტერესებული აკადემიური/კვლევითი სფეროს წარმომადგენლებისთვის, საქართველოში და უკრაინაში ევროკავშირის ოფიციალური წარმომადგენლობების, ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის.

საძიებო სიტყვები: ევროკავშირი, საქართველო, უკრაინა, რუსეთის ფედერაცია, ოკუპირებული და ანექსირებული რეგიონები, საგარეო პოლიტიკა, კონფლიქტები.

Abstract

The present Master's Thesis on the analysis and study of the European Union's foreign common policy in the discipline of International Relations examines the EU's policy and its impact on the conflict regions of Georgia and Ukraine. The research aims to assess and analyze the EU's capabilities and shortcomings in conflict resolution, prevention, peacebuilding, and crisis management based on the comparison of two independent cases [Georgia, Ukraine].

The paper is based on qualitative research methodology, the basic methodological approaches of which are case study, and comparative analysis, content and discourse analysis; Besides, the desk research methodology is used under the research. To increase the credibility of the research project, semi-structured and structured interviews were conducted with local and international academic/expert representatives and officials.

The research found that the EU's foreign policy in the Eastern Neighborhood has many shortcomings and limitations, along with some positive results in terms of conflict resolution, peacebuilding, and transformation. The actions of the European Union, the mechanisms of engagement, its dynamics and the steps taken in terms of the conflict regions of Georgia and Ukraine are significantly determined by the factor of the alternative power in its eastern neighborhood - the Russian Federation; Also, the EU's institutional arrangements, lack of political will, individual interests of member states, the interaction between individual countries and Russia, and the lack of a common and consistent strategy call into question the effectiveness and efficiency of the EU's foreign policy capabilities.

The study has shown that, contrary to existing rhetoric, in practical terms, the EU aims to stabilize, maintain, de-escalate the post-conflict reality, and establish channels of communication between the parties to the conflict. Thus, its agenda is to build negotiation platforms, mediate, and provide technical, financial and humanitarian assistance for rehabilitation in the post-conflict reality, not to the conflict resolution itself. In addition, the study made it clear that the EU's foreign policy on the research issue is still in the process of formation.

Legitimate reasoning is allowed in the present research, where the possibilities for EU conflict prevention and transformation to achieve positive change, in the long run, are reflected in the listed indirect policies - modernization of countries, promoting democratic processes, Europeanization, supporting the implementation of reforms, build the state institutions, creating a competitive economy and establishing the rule of law.

Apply of the discussions, deliberations, results, and recommendations presented in this Master Thesis is recommended for academic / research stakeholders, EU officials in Georgia and Ukraine, local NGOs, and decision-makers.

Keywords: European Union, Georgia, Ukraine, Russian Federation, Occupied and Annexed Regions, Foreign Policy, Conflicts.

მადლობა

წარმოდგენილ ნაშრომზე მუშაობის პროცესში შინაარსობრივი და სტრუქტურული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი იყო ჩემი აკადემიური ხელმძღვანელის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის ბ-ნი ტარიელ სიხარულიძის ინტელექტუალური მხარდაჭერა, საგულისხმო რჩევები და რეკომენდაციები. ასევე, მინდა ჩემი მადლიერება გამოვხატო ქართველი და უცხოელი რესპოდენტების მიმართ, რომლებმაც წინამდებარე კვლევის პროცესში დახმარების სურვილი გამოთქვეს, დამითმეს დრო და დამატებითი მნიშვნელობა შესძინეს ჩემს ნაშრომს; ეს ადამიანები არიან: ბ-ნი დავით აფრასიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი პოლიტიკის მეცნიერების მიმართულებით; ბ-ნი გიორგი გვალია - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების პროფესორი; ბ-ნი შტეფან ვულფი - ბირმინგემის უნივერსიტეტი, პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო კვლევების დეპარტამენტის პროფესორი; ბ-ნი კორნელი კაკაჩია - საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორი; ბ-ნი ნიკუ პოპესკუ - საგარეო ურთიერთობების ევროპული საბჭოს (ECFR) პროგრამის დირექტორი; საქართველოში ევროკავშირის ოფიციალური დელეგაცია; ქ-ნი მარინა ვოროტნიუკი - საგარეო პოლიტიკის საბჭოს ”უკრაინული პრიზმის” საბჭოს წევრი და ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის ევროპული სამეზობლო კვლევების ცენტრის აფილირებული მკვლევარი; ბოლოს, ანონიმური რესპოდენტი, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა/მუშაობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობისა და კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის წარმომადგენლად; ის დღემდე მონაწილეობს აფხაზებთან და ოსებთან არაფორმალურ შეხვედრებში.